



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
14 ივნისი 2021

ეკონომიკა


ტურიზმი: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2021 წლის მაისში საერთაშორისო ვიზიტები (ტურისტები და ერთდღიანი ვიზიტორები) წლიურად 188.1%-ით გაიზარდა და 104.8 ათასი ვიზიტორი შეადგინა, რაც ტურისტების რაოდენობის ზრდამ (+264.1% წ/წ) განაპირობა გასული წლის დაბალი ბაზიდან. ამასთან, კლება დაფიქსირდა ერთდღიანი ვიზიტორებში (-16.3% წ/წ), რადგან სახმელეთო საზღვრები კვლავ ჩაკეტილი რჩებოდა მაისში. ჯამურად, 2021 წლის პირველ 5 თვეში ქვეყანაში 317.5 ათასი (-73.3% წ/წ) საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა, საიდანაც ტურისტულმა ვიზიტებმა 288.9 ათასი (-64.7% წ/წ) შეადგინა. ამავე პერიოდში, ჩვენი შეფასებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 171.6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (-61.5% წ/წ).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 28.3%-ით შემცირდა 125.4 მლნ აშშ დოლარამდე 2021 წლის პირველ კვარტალში. საქსტატის მიხედვით შემცირების გამოწვევი ძირითადი მიზეზებია რეინვესტიციის მოცულობის შემცირება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: საფინანსო სექტორი (93.9 მლნ აშშ დოლარი, -1.2% წ/წ), ენერგეტიკის სექტორი (35.5 მლნ აშშ დოლარი), დამამუშავებელი მრეწველობა (27.9 მლნ აშშ დოლარი, +512.7% წ/წ) და უძრავი ქონება (24.4 მლნ აშშ დოლარი, -30.3% წ/წ). ქვეყნების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ გაერთიანებული სამეფო (88.4 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი (31.9 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (24.5 მლნ აშშ დოლარი).

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2021 წლის მაისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 15.6%-ით გაიზარდა და 4.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით რეზერვები 0.4%-ით გაიზარდა (+17.2 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს, და/ან აქტივების გადაფასებას.

ეკონომიკური ინდიკატორები			
	2018	2019	2020
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,584	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,722	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	7.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.5	3.9
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.8%	5.5%	12.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3%	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	40.4%	60.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21	
•	ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
•	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
•	გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი		
 BB უარყოფითი დასაბუთებული თებერვალი-2021	 Ba2 სტაბილური დასაბუთებული თებერვალი-2021	 BB უარყოფითი დასაბუთებული თებერვალი-2021

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 8 ივნისს 1-წლიანი 15 მლნ ლარის (4.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის საბაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 4.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.698პპ-ით გაიზარდა და 9.153% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 22 ივნისს, სადაც 5-წლიანი 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენძმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


საბაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	60	105	85
1-წელი	60	105	505
2-წელი	80	140	1,290
5-წელი	184	236	2,338
10-წელი	44	56	1,281
სულ	428	642	5,499

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2021 წლის 30 აპრილის მდგომარეობით

საბაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა საბაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.86%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.40 (-0.01% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.52 (+0.26% წინა კვირასთან შედარებით), 5.51%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 107.36 ფასად (+0.16% წინა კვირასთან შედარებით), 0.84%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 102.37 (+0.95% წინა კვირასთან შედარებით), 2.23%-იანი შემოსავლიანობით.


ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევროობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილნეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB-/BB/Ba2	102.37	2.23	145.82
GRAIL 07/22	USD	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/B-	107.36	0.84	69.55
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B+/Ba2	106.40	2.86	261.61
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.20	8.99	692.42
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	101.52	5.51	516.57
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.44	7.21	541.37
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B+/Ba2	108.09	2.92	252.54
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	109.88	9.22	689.84
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B-/	106.43	5.97	502.66

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B+/B-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/21	USD	10	7.50%	Aug-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.25%	Sep-21	B-/B-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 12.76 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.95% წინა კვირასთან შედარებით და +15.79% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 162 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 12.58 - 13.08 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 44 ათასი აქცია შეადგინა.


Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.28% წინა კვირასთან შედარებით და +2.15% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 137 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.14 - 6.38 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 85 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 11.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.92% წინა კვირასთან შედარებით და +1.48% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 118 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.70 - 11.26 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 41 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	12.76	627	7.8%	22.7%	4.6%	5.10x	4.28x	1.02x	0.88x
TBC	TBC	GBP	11.00	607	-7.6%	20.2%	-12.0%	4.60x	4.00x	0.79x	0.70x
Sberbank	SBER	USD	17.34	93,552	9.2%	45.5%	19.4%	6.71x	6.31x	1.18x	1.07x
Halyk Bank	HSBK	USD	16.12	4,737	42.0%	41.4%	38.4%	4.90x	5.04x	1.19x	1.13x
VTB Bank	VTBR	USD	1.41	9,163	39.6%	39.4%	48.1%	3.63x	3.37x	0.44x	0.41x
Akbank	AKBNK	TRY	5.51	28,652	-12.7%	-5.0%	-20.5%	3.79x	2.68x	0.41x	0.36x
Garanti	GARAN	TRY	8.46	35,532	-11.2%	3.7%	-18.4%	4.05x	2.82x	0.50x	0.43x
Isbank	ISCTR	TRY	5.34	24,030	-18.8%	4.3%	-23.7%	2.86x	2.12x	0.31x	0.28x
PKO	PKO	PLN	39.86	49,825	38.2%	70.2%	38.8%	10.83x	11.77x	1.16x	1.07x
PEKAO	PEO	PLN	98.12	25,754	61.3%	72.7%	60.6%	14.13x	12.28x	0.97x	0.93x
Millennium	MIL	PLN	4.86	5,891	51.3%	49.9%	48.5%	10.15x	7.64x	0.77x	0.70x
Mbank	MBK	PLN	294.00	12,456	64.0%	16.9%	64.1%	10.88x	11.28x	0.76x	0.72x
BRD	BRD	RON	16.14	11,248	10.5%	31.9%	8.6%	10.74x	10.21x	1.08x	1.21x
Banca Transilvania	TLV	RON	2.77	15,893	24.2%	45.8%	23.1%	9.88x	9.28x	1.49x	1.40x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-3.5%	-3.5%	-3.5%	8.57x	7.76x	1.20x	1.09x
Komercni	KOMB	CZK	794.00	150,899	28.3%	42.0%	20.9%	15.70x	13.34x	1.26x	1.25x
საშუალო								7.91x	7.14x	0.91x	0.85x
მედიანა								7.64x	6.98x	1.00x	0.91x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.18	296	18.4%	28.8%	14.4%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.44	452	-2.4%	-7.2%	-3.9%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.47	19,323	-10.0%	5.6%	-17.4%	3.59x	2.79x	0.43x	0.35x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	35.55	535	15.5%	28.9%	14.1%	6.99x	7.23x	na	na
Eurazeo	RF	EUR	73.35	5,796	35.3%	62.5%	32.2%	10.87x	9.70x	0.95x	0.87x
Carlyle Group	CG	USD	44.16	15,658	49.0%	57.5%	40.5%	17.73x	14.25x	4.91x	4.13x
საშუალო								9.79x	8.49x	2.09x	1.78x
მედიანა								8.93x	8.47x	0.95x	0.87x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდეს რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდეს ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოათზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge